დოქტორანტობის კანდიდატთა საყურადღებოდ!!!

სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს დოქტორანტურაში შემდეგი სადოქტორო კვლევის პროგრამების განსახორციელებლად:

1. „უროტენზინ II–ის რეცეპტორების ანტაგონისტის – პალოსურანის ეფექტურობა ექსპერიმენტული არტერიული ჰიპერტენზიის დროს“

· *<u>სამეცნიერო ხელმძღვანელები:</u>* ასოც. პროფ. ლუიზა გაბუნია,
ასოც. პროფ. ქეთევან ღამბაშიძე

2. „Un ფაგის ფარმაკოლოგიური თავისებურებების და თერაპიული ეფექტურობის შესწავლა E.coli–ით გამოწვეული ექსპერიმენტული სეფსისის მოდელზე“

- *<u>სამეცნიერო ხელმძღვანელები:</u>* ასოც. პროფესორი ქეთევან ღამბაშიძე
ასოც. პროფესორი ეკატერინე ჯაიანი
სამეცნიერო კონსულტანტი: მარინა თედიშვილი – გ.ელიავას ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიის და ვირუსოლოგიის ინსტიტუტის მიკრობული ეკოლოგიის ლაბორატორიის უფროსი

3. „ციტოკერატინების დიაგნოსტიკური მნიშვნელობა შარდის ბუშტის კიბოს მქონე პაციენტებში“

- *<u>სამეცნიერო ხელმძღვანელი:</u>* ასოც. პროფესორი მიხეილ შავდია

4. „გულის ქრონიკული უკმარისობის და ასიმპტომური ჰიპერურიკემიის მქონე პაციენტებში შარდმჟავის დონის დაქვეითების გავლენა კარდიულ ფუნქციებზე“

- *<u>სამეცნიერო ხელმძღვანელი:</u>* ასოც. პროფესორი ირმა მამაცაშვილი

5. „რეზისტენტული ტუბერკულოზის ხანმოკლე და ხანგრძლივი სამკურნალო რეჟიმების შედარების შედეგები საქართველოში“

- *<u>სამეცნიერო ხელმძღვანელი:</u>* პროფესორი კახა ვაჭარაძე

6. „იმუნური ფაქტორების როლი ორსულობის ადრეულ ვადაზე შეწყვეტის გენეზში“

- *<u>სამეცნიერო ხელმძღვანელი:</u>* პროფესორი ნიკოლოზ კინტრაია

კონკურსი მოიცავს:

ა) წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებას,
ბ) გამოცდას სპეციალობაში (ტესტირება, გასაუბრება) და უცხოურ ენაში.
კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მაძიებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები**:**
1. განცხადება თსსუ–ის რექტორის სახელზე (ივსება ადგილზე);
2. განცხადება (სააპლიკაციო ფორმა) (ივსება ადგილზე);
3. შუამდგომლობა ბოლო სამუშაო ადგილიდან, ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან;
4. უმაღლესი სამედიცინო განათლების და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის/დიპლომის ასლი;
5. სამეცნიერო შრომების სია თანდართული პირველწყაროებით და ქსეროასლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
6. პირადობის მოწმობის ასლი;
7. CV ან კადრების აღრიცხვის ფურცელი (სურათით და დადასტურებული ბეჭდით);
8. ფოტოსურათის (3×4) ელექტრონული ვერსია.

საბუთების მიღება იწარმოებს 2019 წლის 23 ივლისიდან 23 აგვისტოს ჩათვლით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში, სამეცნიერო
მუშაობის კოორდინაციის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სამსახურში, ყოველდღე (შაბათ–კვირის გარდა) 10^{00}–დან 17^{00}სთ–მდე (შესვენება 13^{15}–დან 14^{00} სთ–მდე).
მისამართი: თბილისი, ვაჟა–ფშაველას 33, III სართული, ოთახი № 313, № 314
დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სამსახურს (ტელ.: 254 24 66, ოთახი № 313, № 314)